ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6182516

ნომერი: AR1928837

თარიღი : 17.10.2022

გაცემის თარიღი : 27.10.2022

გაცნობის თარიღი : 27.10.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი მიმინოშვილი პ/ნ 01015001043
- თბილისი ვ.გორგასალის IV შეს. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022

წლის 17 ოქტომბერს №AR1928837 განცხადებით მომართა ვალერი მიმინოშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებებში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვ. გორგასლის ქუჩა №77-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.09.003.031) მდებარე შენობების (№10/1, №11/1, №09/1) დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვები. აღნიშნულ ბრძანებებში დამკვეთად დაფიქსირდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.
წინამდებარე განაცხადით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებებში დამკვეთად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნაცვლად შპს „სპორტმშენსერვისი“-ს (ს/ნ: 204878542) დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882022743070, მომზადების თარიღი: 12/10/2022 წ.) თანახმად, №01.18.09.003.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთი დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს შპს „სპორტმშენსერვისი“-ს (ს/ნ: 204878542) საკუთრებას.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21132769; მომზადების თარიღი: 03/01/2022 წ.) შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გერონტი ცინდელიანი (პ/ნ: 51001002907). სამსახურში წარმოდგენილია შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირის - გერონტი ცინდელიანის (პ/ნ: 51001002907) მიერ ვალერი მიმინოშვილის სახელზე გაცემული 2022 წლის 13 ოქტომბრის №00041584 მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
ამასთან, სამსახურში წარმოდგენილია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2022 წლის 24 ოქტომბრის №00042943 თანხმობა ზემოაღნიშნულ ბრძანებებში დამკვეთად შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542) დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.18.09.003.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "სპორტმშენსერვისი" (ს/ნ: 204878542), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებებში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებებში და დამკვეთად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნაცვლად ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "სპორტმშენსერვისი" (ს/ნ: 204878542).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6118076, 2022 წლის 15 სექტემბრის №6118208 და 2022 წლის 21 სექტემბრის №6124135 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7),

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.